

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება №01-06-02137

ქ. თბილისი

7 ოქტომბერი 2026

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
საშტატო განრიგში შესატანი ცვლილებების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი) 2026 წლის 29 სექტემბრის №0001345052, 5 ოქტომბრის №0001391245, 6 ოქტომბრის №0001401170 და №0001401998 წერილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2026 წლის 7 ოქტომბრის №01-06-02/08 ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:**

1. დამტკიცდეს სტუ-ის საშტატო განრიგში შესატანი ცვლილებები, კერძოდ:

1.1. სტუ-ს საფინანსო სამსახურში გაუქმდეს I კატეგორიის უფროსი სპეციალისტის 1,0 საშტატო ერთეული, სახელფასო განაკვეთით თვეში 1400 ლარი; შეიქმნას შრომის ანაზღაურებისა და საგადასახადო ანგარიშსწორების ჯგუფის უფროსის 1,0 საშტატო ერთეული სახელფასო განაკვეთით თვეში 2000 ლარი, ნაცვლად I კატეგორიის უფროსი სპეციალისტის 1,0 საშტატო ერთეულისა (სახელფასო განაკვეთით თვეში 1400 ლარი);

1.1.1. განსახორციელებელი ცვლილებები ამოქმედდეს 2026 წლის 1 ოქტომბრიდან.

1.2. სტუ-ს დიზაინის საერთაშორისო სკოლაში გაუქმდეს ინგლისურენოვანი ასისტენტ-

პროფესორის 1,5 საშტატო ერთეული, სახელფასო განაკვეთით თვეში 2316 ლარი (სულ — 3474 ლარი) და ინგლისურენოვანი ასისტენტის 1,0 საშტატო ერთეული, სახელფასო განაკვეთით თვეში 1297,5 ლარი; სანაცვლოდ შეიქმნას ინგლისურენოვანი პროფესორის 1,0 საშტატო ერთეული (480 საათი), სახელფასო განაკვეთით თვეში 4140 ლარი და ინგლისურენოვანი ასოცირებული პროფესორის 1,5 საშტატო ერთეული (500 საათი და 250 საათი), სახელფასო განაკვეთით თვეში 3108 ლარი, სულ 4662 ლარი;

1.2.1. განსახორციელებელი ცვლილებები ამოქმედდეს 2026 წლის 21 სექტემბრიდან;

1.3. სტუ-ის აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ცენტრში გაუქმდეს I კატეგორიის უფროსი სპეციალისტის 1,0 საშტატო ერთეული სახელფასო განაკვეთით თვეში 1300 ლარი და შეიქმნას II კატეგორიის უფროსი სპეციალისტის 1,0 საშტატო ერთეული სახელფასო განაკვეთით თვეში 1000 ლარი, ასევე არსებული I კატეგორიის უფროს სპეციალისტის 1,0 საშტატო ერთეული სახელფასო განაკვეთით თვეში 1800 ლარიანი გადაკეთდეს მენეჯერის 1,0 საშტატო ერთეულად სახელფასო განაკვეთით თვეში 2100 ლარი.

1.3.1. განსახორციელებელი ცვლილებები ამოქმედდეს 2026 წლის 1 ოქტომბრიდან;

1.4. სტუ-ის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტ „ტექინფორმის“ საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების განყოფილებაში გაუქმდეს უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის 0.5 საშტატო ერთეული სახელფასო განაკვეთით თვეში 525 ლარი, და მის ნაცვლად შეიქმნას მთავარი მეცნიერ-თანამშრომლის 0.5 საშტატო ერთეული სახელფასო განაკვეთით თვეში 605 ლარი.

1.4.1. განსახორციელებელი ცვლილებები ამოქმედდეს 2026 წლის 15 ოქტომბრიდან;

1.5. სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ქსელის მართვის განყოფილებაში გაუქმდეს ინჟინერ-პროგრამისტის (III კატეგორიის უფროსი სპეციალისტი) 1,0 საშტატო ერთეული სახელფასო განაკვეთით თვეში 800 ლარი და გამოთავისუფლებული თანხა გადანაწილდეს შემდეგი სახით: ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ქსელის მართვის განყოფილების უფროსის სახელფასო განაკვეთი განისაზღვროს თვეში 1400 ლარით; სასწავლო პროცესების მართვის განყოფილების II კატეგორიის უფროსი სპეციალისტის 1,0 საშტატო ერთეულის სახელფასო განაკვეთი განისაზღვროს თვეში 1200 ლარით; სასწავლო და სამეცნიერო ხასიათის საჯარო სამართლის ლაბორატორიის ხელმძღვანელის 1,0 საშტატო ერთეულის სახელფასო განაკვეთი განისაზღვროს თვეში 1500 ლარით;

1.5.1. განსახორციელებელი ცვლილებები ამოქმედდეს 2026 წლის 1 ოქტომბრიდან;

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი **ზაზა სოფრომაძე**